პერიოდი	**შეხვედრების საერთო რაოდენობა**	**შეხვედრების ადგილი** **ქალაქი** (უბანი, ქუჩა) **დაბა** (უბანი, ქუჩა) **სოფელი**	**ძირითადი იდენტიფიცირებული პრობლემები**	**რა რეაგირება მოახდინა დეპუტატმა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე**	**რა შედეგი მოჰყვა დეპუტატის რეაგირებას, მოგვარდა თუ არა პრობლემა**
2022 წელი პირველი კვარტალი 01.01.2022 - 31.03.2022	მითითებულ საანგარიშო პერიოდში შეხვედრების საერთო რაოდენობაა - 32	✓ ქალაქი რუსთავი ✓ ქალაქი თბილისი	მითითებულ საანგარიშო პერიოდში მოქალაქეებთან შეხვედრები მიმდინარეობდა როგორც პირადად, ასევე ელექტრონული და სატელეფონო საშუალებების გამოყენებით. მითითებულ პერიოდში შეხვედრების ძირითადი თემატიკა ითვალისწინებდა შემდეგ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს: ✓ ატმოსფერული ჰაერის დაცვასთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისა და გარემოზე ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობდა შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, აქტივისტებთან, რომლის ფარგლებშიც იდენტიფიცირდებოდა ქვეყნის მასშტაბით გარემოზე ზემოქმედების პრევენციასთან დაკავშირებით	მითითებულ საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებულ ძირითად გამოწვევებთან დაკავშირებით შეხვედრების ფორმატში განხილული საკითხების შინაარსის გათვალისწინებით განსხვავებული იყო რეაგირება (რეაგირებების თაობაზე ზოგადი ინფორმაცია ასევე მითითებულია შეხვედრების აღწერილობაში)	მიმდინარე პერიოდში გამართული შეხვედრების საფუძველზე, იდენტიფიცირებულ ყველა გამოწვევასთან, საჭიროებასა და პრობლემასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის შესაბამისი უწყებებისათვის ინფორმაციის მიწოდების, შუამდგომლობების, კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გაცემის გზით.

			განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულებისას გამოვლენილი პრობლემები. ასევე, ამ მიმართულებით პრობლემების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები რუსთავის მაცხოვრებლებთან და ადგილობრივი საწარმოების წარმომადგენლებთან შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და კანონმდებლობის ეფექტურ აღსრულებასთან დაკავშირებული პროცესების გეგმაზომიერად წარმართვის თაობაზე. ✓ რუსთავში, საწარმოო პროცესების საფუძველზე გამოწვეულ არასასიამოვნო სუნთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით არაერთი შეხვედრა განხორციელდა როგორც საწარმოს წარმომადგენლებთან, ასევე, სამოქალაქო აქტივისტებთან, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, სამინისტროს წარმომადგენლებთან და საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებთან. ✓მინერალური სასუქებისა და ინდუსტრიული ქიმიკატების წარმოებისას გარემოზე ზემოქმედების პრევენციისა და ამ მიმართულებით განსახორციელებელი შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე		აღნიშნულ ფორმატში გამოკვეთილ საკითხებთან მიმართებით შემუშავდა მოქალაქეთა საჭიროებების ნუსხა, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომაც, დღემდე გრძელდება ქმედითი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესები.

			გაიმართა შეხვედრა როგორც მოქალაქეებთან, ასევე სამინისტროს წარმომადგენლებთან და საწარმოების ხელმძღვანელებთან. ✓ჩატარდა არაერთი შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა რუსთავის ტყე-ჭალის აღდგენითი პროექტის მიმდინარეობა და პროექტთან დაკავშირებული გამოწვევები, დასახული გეგმები და მიზნები, შეფასდა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უკვე განხორციელებული ღონისძიებები და დაიგეგმა სამომავლო ქმედითი პროცესები. ✓ქალაქ რუსთავში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან, ინვესტორებთან, მშენებლებთან, არქიტექტორებთან და სხვადასხვა სფეროს/დარგის ექსპერტებთან, სპეციალისტებთან, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ჩატარდა არაერთი შეხვედრა, რომელთა ფარგლებშიც განხილულ იქნა ნიჩბოსნობის სკოლის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხები, ასევე განხილულ იქნა ნიჩბოსანთა სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით სამომავლო აქტივობები. ამასთან, იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები რუსთავის სანიჩბოსნო სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის.		

			✓ქალაქ რუსთავის მაცხოვრებლებთან შეხვედრების ფარგლებში დაიდენტიფიცირდა არაერთი გამოწვევა და მიმართულება, რასთან დაკავშირებითაც ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციისა და კონსულტაციების საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირებები. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, გამოიკვეთა ისეთი საკითხები და მაცხოვრებლების საჭიროებები, როგორიცაა: ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამედიცინო მომსახურების მიღებასთან და მედიკამენტების შეძენასთან დაკავშირებული პრობლემები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნასთან დაკავშირებული გამოწვევები, სოციალური მხარდაჭერის საჭიროებები, ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული მოლოდინები, სპორტისა და ახალგაზრდობის მხარდასაჭერად საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა და ა.შ. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობების ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობდა კომუნიკაციები, კონსულტაციები, შუამდგომლობები შესაბამის სტრუქტურებთან.		

			✓ რუსთავის მაცხოვრებლებთან განხილული საკითხების საფუძველზე, გაიცა რეკომენდაციები რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული სარეზერვო ფონდიდან სამედიცინო და სხვადასხვა სახის დახმარების გასაწევად. ✓სოციალურად დაუცველ პირთა ხელშეწყობისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არაერთი შეხვედრა გაიმართა სოციალურად დაუცველ პირებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ✓რუსთავის მაცხოვრებლების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, როგორც მოქალაქეებთან, ასევე საწარმოთა წარმომადგენლებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გაიმართა არაერთი შეხვედრა/მოლაპარაკება ადგილობრივ საწარმოებში რუსთაველების დასაქმების ხელშეწყობისა და სამომავლო გეგმების/სამოქმედო ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით. ✓მოქალაქეებთან შეხვედრების ფორმატში განხილულ იქნა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში, დაუკანონებელი უძრავი ქონებების რეგისტრაციისთვის განსახორციელებელი სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული გამოწვევის		

			პრევენციისათვის განხორციელდა შეხვედრები, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ასევე სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან. ✓რუსთაველი სპორტსმენებისათვის სოციალური, საცხოვრებელი და სავარჯიშო პირობების გაუმჯობესების მიზნით გაიმართა არაერთი შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში გამოიკვეთა სპორტსმენების კონკრეტული საჭიროებები და დაიგეგმა სხვადასხვა ქმედითი ღონისძიებები შესაბამისი სტრუქტურების ჩართულობით. ✓ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისა და წახალისების მიზნით, ასევე მაქსიმალურად მეტი კეთილმოწყობილი სივრცის შექმნისათვის, შეხვედრების ფორმატში განხილულ იქნა რუსთავში კონკრეტულ ლოკაციებზე დამატებითი საბავშვო-გასართობი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი, ასევე მოსასვენებელი სივრცეების შექმნისა და კეთილმოწყობის საკითხი. ამ მიზნით აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ✓სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში შეხვედრების		

			ფორმატში დაიდენტიფიცირდა ის გამოწვევები, რომლებთან დაკავშირებითაც გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, სპეციალისტებთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან. ✓რუსთავში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია სატრანსპორტო კომპანიებთან რუსთავში ტრანსპორტის ღირებულების გაძვირების შედეგად შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. მოლაპარაკებების შედეგად, რუსთავსა და თბილისს შორის დაინიშნა ავტობუსების ახალი მიმართულება, რომელიც ყოველდღიურად 2 000-დან 3 000-მდე ადამიანს ემსახურება. ✓გაიმართა შეხვედრები ინვესტორებთან რუსთავის სამრეწველო და კულტურული პოტენციალის გამოყენებისა და ათვისების მიზნით. შეხვედრების ფარგლებში, მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე, დაიგეგმა ქმედითი ნაბიჯები (შესაბამისი უფლებამოსილი პირებისა და ორგანოების ჩართულობით), რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს ადგილობრივ ბიუჯეტს და დაასაქმებს ადგილობრივ მოქალაქეებს.		

			✓ქალაქ რუსთავში ელექტრო სკუტერების გამოყენებისა და ხელმისაწვდომობისათვის გაიმართა შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც განხილულ იქნა მოსახლეობისათვის დამატებითი სამგზავრო ალტერნატივის შეთავაზება, ასევე, განხილულ იქნა ამ გზით გარემოზე ზიანის მიყენების პრევენციისა და მსგავსი საშუალებების გამოყენების საფუძველზე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების საკითხები.		